

ს რ ი ა ს ო ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წინაპრები — მემკვიდრეებს

ნახ. ი. გაბაშვილისა

სუმგორის, კუბურის, გაგრათიონის და ღონსორის — გენერლებს: შუკოვს, მერეტკოვს, ლვოვს, კოზლოვს, როკო-სოვსკის და სხვებს.

ვაზა, ვაზა ვაზა გვირ გენერლებს,
ჩვენი წმინდა მიწის მცველებს,
ვინც ვაჟკაცურ თავდადებით
დიდ სამშობლოს ასახელებს.

ვინც მტერს მუსრავს, რომ ხალხის წინ
მოიხადოს დიდი ვალი
და უკვდავმკობს გამარჯვებით
მის ბრწყინვალე მომავალი.



სანამ თავის თავს მთავარსად დადანიშნავდა, პიტლერმა მთელ რიგ გენერლებს შესთავაზა მთავარსადლის პოსტი, მაგრამ ამ თანამდებობის მიღებაზე დათანხმება მათ სისულელედ მიიჩნიეს. **გ ა ზ ე მ თ ე ბ ი დ ა ნ**

ნან. გ. ლომიძისა

„რაინენაუ გარდაცვალა წვეთის დაცემისაკენ“ რაინენაუ ეს დაცემა საკმაოდ მარჯვე ყოფილა, რადგან რაინენაუ გერმანელ გენერლებში ყველაზე ჯანმრთელი და ამბიციური ლონდონის რადიოს კომენტარიდან

„ფიურერის“ სახეზე უკმაყოფილება იყო აღბეჭდილი.

— ფრონტიდან მეტად დამაფიქრებელი ცნობები მოდის — ფიქრობდა ის, — კლასტი-მა როსტოვთან კისერი მოიტეხა, გოლდერიანიც ტულის ოლქიდან გუდა-ნაბადით გამოისტუმრეს, შტრაუსმა კალინიინიდან ელვისებურად მოჰკურცხლა, შმიდტმა ტიხვინიდან ტიხვინით მოუხვია დასავლეთისაკენ და ლენინ-გრადის ალბის იმედს ჩაილურის წყალი დაალევინა, პიუზნერმა კლინთან კისერი მოიტეხა... — „ფიურერი“ მიხედა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაგზავნილმა რჩეულმა სარდლებმა მას სახელის ნაცვლად პამპულას ბედი არგუნეს და სირცხვილი აჭამეს.

— ჰმ... სირცხვილი და როგორი სირცხვილი! — და მოაგონდა „ფიურერს“ რამდენიმე ეპიზოდი იმ სამარცხვინო ფაქტებიდან, რაც მის მიერ თავის „უძლიერეს“ სარდლებისა და ჯარების გამარჯვების რწმენით გამოწვეულ ბაჭიბუქის ნაყოფი იყო.

— ყველაფერი ეს ბრაუხიჩის ბრალია! მთავარსადალი ის არის და პასუხიც მან უნდა აგოს! მეტის ატანა შეუძლებელია; უნდა გამოვანახოთ შესაფერი კანდიდატი ბრაუხიჩის შესაცვლელად. — გადაწყვიტა მან. მეორე დღეს გენერალმა ანსონმა სასწრაფო დებეშა მიიღო.

— ფიურერი მიბარებს! — განუცხადა მან თანამშრომლებს და კანცლერის კაბინეტის მოვრებით კანკალმა აიტანა: „გინ იცის რა მიზნით მიბარებს... იქნება ჩემი „ჯანმრთელობა“ არ აკმაყოფილებს და „სამკურნალოდ“ გასტუმრებას მიპირებსო“ — გაიფიქრა მან, მაგრამ ყოყმანის დრო აღარ იყო.

— თქვენ უნდა მიიღოთ თქვენს თავზე უდიდესი ვალდებულება. — წარმოსთქვა „ფიურერმა“.

— ბრძანეთ.

— თქვენ უნდა იკისროთ ჩვენი ძალების მთავარსადლობა.

— არ შემძლია. სხვა ფრონტზე დავთანხმდები, მაგრამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არ შემძლია... მეტად მძიმე საქმეა, ვინ იქნება სულელი დათანხმდეს მაგ თანამდებობაზე?

— ვიცი რომ მძიმეა. როგორც გნებავთ! — უთხრა გაწბილებულმა „ფიურერმა“ და შეუდგა ახალი კანდიდატის გამოძიებას.

მეორე დღეს „ფიურერის“ კაბინეტში გენერალი ბანსონი იყო.

— არ შემძლია. მე საესკებით ვიზიარებ გენერალ ანსონის მოსაზრებას: ვინ იქნება სულელი, რომ შექმნილ მდგომარეობაში დათანხმდეს მაგ თანამდებობაზე?

მესამე დღეს კანცლერის კაბინეტში გენერალი განსონი გამოიძახეს.

— არ შემძლია. ვინ იქნება სულელი, რომ დათანხმდეს მაგ თანამდებობაზე?



მგელი მგლურად უნდა მოკვდეს, ეს ბუნების წესი არი, არც დავინდობთ, თუნდ ამოწყდეს მტაცებელთა მთელი გვარი,

მაგრამ ამ მგელს ვით მოკლავდა უჩინარი რალაც წვეთი, რომ მეორე ცოფიან მგელს არ დაეცხო მისთვის კეტი?

მეოთხე დღეს ფიურერთან გამოძახებულმა ლონსონმა(კ) კატეგორიულად განაცხადა:

— არც მე შემძლია. ვინ იქნება სულელი, რომ დათანხმდეს მაგ თანამდებობაზე?

ასეთი პასუხი მისცეს „ფიურერს“ შემდეგ დღეებში გამოძახებულმა ენსონმა, გინსონმა, ზინსონმა, თანსონმა და ინსონმა(კ).

„ფიურერი“ კანდიდატის ძებნამ მოთმინებიდან გამოიყვანა.

— აღარავის აღარ შეეჩივებები. გბრძანებ დავნიშნავ ვინც უფრო შესაფერი იქნება... — გადაწყვიტა მან, მაგრამ უკლებ სარკესთან გავლისას თავის თავი მოაგონდა.

— რალა სხვებს ვიხვიები, ჩემზე უფრო ვინ იქნება შესაფერი ამ თანამდებობაზე?

ერთი კვირის შემდეგ გენერალი ანსონი რეინსტაგის შენობის შესაგალთან გენერალ ბანსონს შეხვდა. ერთმანეთის მოკითხვის ნაცვლად ბანსონმა ანსონს წასჩურობა.

— გაიგე? ახალი უმაღლესი მთავარსადალი მოგვივლინა.

— ვინ! ვინ დათანხმდა მაგ თანამდებობაზე, ვინ გამოდგა სულელი?

— სსს... არაფინ გაგიგონოს!.. ჩვენი ფიურერი.

ჭარბი „სიყვარული“

დანიაში ფაშისტურ გერმანიის მოწინააღმდეგეებმა სამხედრო საწყობი ააფეთქეს.

გაზეთებიდან

ხ.ბ. ღონისა

საკუთარ კულ უწყო კბენა

პიტლერი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავისი დამარცხების გამო შურის იძიებს გერმანიის არმიის ცნობილ გენერლებზე, რომლებიც აქამდე მის „მარჯვენა ხელად“ ითვლებოდნენ.

გაზეთებიდან

შხამით სავსე ქვეწარმავალს — მორიელი წოდებულს, დინგში ნესტარმარჯვებულს, ტანზე — ბუსუსმოდებულს ერთი ჩვევა შერჩენია და მას იცავს, როგორც ჯიშსა: საკუთარ კულს დაჰბენს ხოლმე — როს განწირვის იგონებს შიშსა. დაჰბენს, ტანში ნესტარს იყრის და დაგროვილ ბალღამს და შხამს ქვედა ჩანის პარკუჭიდან თვის გულშივე გადასხამს, და ცდილობს, რომ საწამლავი მთელს სხეულში ჩააქციოს, ამით, თითქოს სიკვდილის შხამს სურს რომ თავი დაღწიოს. მაგრამ როცა ქვეწარმავალს განკითხვის დღე დაუდგება, რას უშველის იმ განწირულს ეს უაზრო ხელოვნება? თავს გაუბეძეს მას ყორის ქვა — მარჯვე ხელით მოქნიული, ან უწყალოდ გასრეს უმაღ ქუსლი-ფოლადმობნეული. გასრეს, რადგან ეს ადათი თვით ბუნებამ დასდო წესად, რომ ჩვენ მოუგებოთ ის, რაც ხოხავს ხალხში შხამის დასათესად.

მაგრამ თურმე ბუნებაშიც მეცნიერთა გასაკვირად უცნაური ცვლილებები ხდება ხოლმე ერთობ ნშირად: მაგალითად, თუ აქამდე დებულება სწამდათ ძველი, რომ კაცის მსგავს ცხოველიდან არ გაჩნდება მორიელი დღეს ფაშიზმმა დაარღვია ეს ადათი-ურყვევილი და წარმოშვა „ფიურერი“ — მორიელის შხამით სავსე, ვინც კულტურულ კაცთა მოდგმას ბოროტ სულად დაჰქრის თავზე, მას აგზნაინ ჩვეულებად დაჰყოლია ვით ხელობა — ცეცხლი, სისხლი, ნგრევა, რბევა, ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა! და როცა ამ მაგლაჯუნამ გაღესილი შხამნესტარით, ჩვენს ოჯახში შესატრულად სცადა შეხსნა რკინის კარის, რომ დასუნთქოს ჩვენი ყოფა, რომ აღინოს სისხლის ღვარი, და ტრახახჰყო ვით პრიჰინამ: „გამარჯვება ჩემი არი!“ მაგრამ როცა რკინის ქუსლით ჩავუღვწეთ ხერხემალი, როცა საფრთხემ გარღვევალმა გაუყარა თვალში — თვალი, დაიკლანა, ასისინდა, უძლურ ბრახით მოჰყვა ზრუნება, და იმ მორიელის წესით საკუთარ კულს უწყო კბენა! ამით იგი თითქოს ცდილობს აიცილოს განსაცდელი, რომ თუ წელი ავუთრეით, თავი მაინც შერჩეს მთელი. ამათა, ქვეწარმავალს ვერ დაინსნის ხერხი ძველი, სამუდამოდ გასრეს იმას აწ ფოლადის ქუსლი ჩვენი გასრეს, რადგან ეს ადათი თვით ბუნებამ დასდო წესად, რომ ჩვენ მოგებოთ ვინც კი ჩვენში მოღის შხამის დასათესად.

ო. მასნი მელბარჩიძე

ხ.ბ. ღონისა

საკუთარი



— ხელავ ფერდინანდ, ევროპის ხალხთა გული ისე დიდი „თანაგრძნობით“ ფეთქავს გერმანელი ფაშისტებისადმი, რომ მისი ძალით მთელი სამხედრო საწყობები ფეთქდება.

პალსგერ... ჰენსგერ

ჯალათი ჰიმლერი ტყუილად იწუხებს თავს, როდესაც იგი ცეკვის კრძალავს. — საეჭვოა, რომ ახლა გერმანიაში აღმოჩნდეს ცეკვის ბევრი მსურველი, ვინაიდან თითქმის ყველა გერმანელის ოჯახში არის პიტლერის დანაშაულებრივი და სისხლიანი პოლიტიკის მსხვერპლი. განა ახლა საცეკვაოდ აქვს საქმე გერმანიის მოსახლეობას, რომელიც სისხლისაგან იცლებს, შიმშილისაგან სივდება და ავადმყოფობისაგან იხოცება?

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

ვალსტერ, ცეკვის მაისტერი, თავის საქმის სბეცი იყო, ასწავლიდა გატაცებით, ბევრჯერ „პრიზიც“ კი მიიღო.

მხოლოდ დარჩა ერთი სკოლა, — ასწავლიდა სადაც ვალსტერ, მას მოწაფედ მიუჩინეს გესტაპოდან ვიღაც ჰენსტერ.

ამაყოზდა ცეკვის სკოლა, სად მას ჰქონდა გაკვეთილი, თანაც ვალსტერ კაცი იყო წესიერი და კეთილი.

ერთ საღამოს, ცეკვის შემდეგ, ჰენსტერ ვალსტერს გააცილებს, თანაც ფიქრობს, მასწავლებელს ტყვიას როგორ დააცილებს.

მაგრამ, როცა ფაშისტებმა ომის ცეცხლი გააჩაღეს, — ცეკვისათვის არ ეცალათ ფაშისტების ქურდ-ყაჩაღებს, —

მან ვალსტერი შეაჩერა ბნელი ქუჩის ერთ ყურეში, რომ მუხანათს შავი ზრახვა მოეყვანა სისრულეში.

როს ფარულად ზოგი სკოლა ავტენტრად გადაიქცა, იმ ვალსტერმაც ფიურერი მოლატატედ ხალხის იცნა.

მაგრამ ამ დროს „მოწაფის“ მკერდს მასწავლებლის ტყვია მოხვდა, — და იქავე საწივლარი ცოფიანი ძალი მოკვდა.

ბევრი მისგან ცეკვის დროსაც ჩაწვდენია სინამდვილეს, ფაშისტებმა ევროპის ხალხს რატომ სისხლი დაადინეს...

ფაშისტის გვაშს იგი ვალსტერ აფურთხებს და ზედ ფეხს აბჯენს... კვლავ იცეკვებს ის ხალხისით, როცა ხალხი გაიმარჯვებს...

ამის შემდეგ ცეკვის სკოლებს ბოკლომები ჩამოკიდეს, უფიქრიათ, თავის მტერი ვინ იქნება აქ მოვიდეს?

სანდრო



— თბილი ტანსაცმელი ვერ დავითრიე, მაგრამ ეს ნივთიც გამომადგება... უებარი საშუალებაა ტემპერატურის დასაწევად ფრონტიდან გამოქცევის დროს.

უაბისგური უერნერა

ნახ. ოთ. სენიაშვილისა



ავტობორტრეტი



უანრი



პეიზაჟი

ბერლინის ქაუზები

ნახ. ი. ჭავჭავაძისა



— ხომ კარგი ხორციანა?
— ო, ჩინებულია ფრათ, ძალღების გამოფენაზე პირველი ჯილდო აქვს მიღებული.

ნახ. კ. პირადოვისა

განსაკუთრებით



— როგორაა საქმე შერ ბაულ?
— ხაყვედურის თქმა არ შეიძლება.

ველარა ველავს, ველარა...

„შებელსმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც ის აღნიშნავს, რომ გერმანელი ჯარისკაცები უკიდურესად დაილაღნენ. ...შემდეგ მოუწოდებს ხალხს: „არ მოისმინონ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების სიტყვები...“ ეხება რა: „განსაკუთრებით მკაცრ ზამთარს“ ნუგეშის სახით ამბობს: „მაისში-ივნისში ჩვენ უკვე აღარ შეგვეშინდება ყინვების“-ო.

გაზეთებიდან

ბევრი რამ ხდება ამ ქვეყნად საქმენი უცნაურია: ტყუილის გულა შებელსმაც სიმართლე გამოურია.

რა ზომსცა არის საქვეყნოდ სახელგანთქმული მკვებარა, — დღეს ფაშისტების გასაჭირს ვეღარა შშალავს, ველარა.

ამბობს — საბჭოთა კავშირის ჩვენ ვერ განვსჭვრიტეთ ძალაო, ჩვენი ჯარები წითლებთან ბრძოლებით დაილალო.

შეიცვალა „სს“-თა აწ ყოყოჩური სურათი, წითლებმა ფერი უცვალეს, თავზარი დასცეს „ურა“-თი.

ეს წამოსცდა და ისურვა კვლავ თავის დაიმელება — არც გვიკვირს, რადგან ის მუდამ ლობე-ყორესა ედება.

მან მოუწოდა გერმანელთ: შხამს არ დაგეტყუოთ წყენაო. რაზომც გიჭირდეთ ითმინეთ, არ ამოილოთ ენაო.

თქვენ ყური უგდეთ ჩემს კორებს და ფიურერის ნებასო, მართალი სიტყვის მოსმენა თქვენ მოგაყენებთ ვნებასო.

თუმცა ზამთარი, ვით ბუზებს თქვენ გულეთ — იმაგრეთ გულით, ფიურერს ვფიცავ მასში დადგება გაზაფხულით.

რონ რაიხენაუ და სხვები

რაიხენაუ! რაიხენაუ!
შეგიძლევს შავად ცხენი.
ფაშისტური აბჯრის ხმაურს
ვედარ ისმენს ყური შენი.

თურმე მოგკლეს... განა კაცი
ახე უნდა დაიღუპო?
რომ გვიქაღდი სიკვდილს მკაცრი,
თვით დაგიდგეს თეთრი კუბო.

რომ გვებრძოდი, რატომ, რისთვის?
რომ გეგონა თავი გმირი,
თურმე „ბატონ“ შიტლერისთვის
იყავ მხოლოდ უნაგირი...

დიად... მხოლოდ მედალ-ჯვრებით
უნაგირი მოკაშმული...
რად შეგერხა ჯინჯილები?
ხწუხს კუბოში შენი სული...

გაგირისხდა „ფიურერი“,
რომ გაცუდდა შენი ტყვია:
ცხენს ვერ უქნა ვერაფერი,
უნაგირი დაამტვრია.

უკაცრავად... აი ბედი,
რომ მოსკოვში ვერ შეგიშვით;
თორემ კიდევ იცოცხლებდი
შენ, მცურავი ხალხის სისხლში.

უკაცრავად, რომ შენ ჩვენში
ვერ წამოხველ „გმირი“ წინა,
რომ მოგტეხეთ ღორის ეშვი,
რომ შენ მარცხმა შეგიწირა.

და თუმც ვარი გაგიფანტეს,
მანც სჯობნი გმირობაში,
ტაძრის დამწველ შეროხტატეს,
შენ ტაძართან დასწვი ბავშვით.

დაგათასებს შესაფერად
მომავალიც — პირქუს აჩრდილს,
შენს შავ სახელს, შავს დაფაზე,
რაიხენაუ, ვერვინ წაშლის.

დ. გაჩეჩილაძე

ნან. ი. კროტკოვისა

ბერლინის შეკვლა

მოიერიშენი დაძრწიან ბინებში და დახვრეტის მუქარით ართ-
მევენ მცხოვრებლებს ყოველგვარ ძველმანს.

ბერლინი
გაწითელიდა



ძვე-ე-ლი-ი ნივ-თე-ები, ძვე-ე-ლი საცვლე-ე-ბი-ი, ხომ არავის დარჩა წაურთმეველი!

რ ი ბ ი ს მ ი ს ხ ა ლ შ ი მ

ს ა ა ვ ა დ მ ყ მ ფ მ



გესტაპოვლი — ბატონო გენერალო, დადექით რიგში!

გუდარიანი — მე ავად არა ვარ! რა მინდა საავადმყოფოში?

გესტაპოვლი — დადექით, დადექით! ასე ამოზდა გენერალი რაიხენაუც, იმასაც ეგონა კარგათ ვარო, მაგრამ შევიფანეთ თუ არა საავადმყოფოში, სული განუტევა.





ნან. ბ. ეფიშვილი

...ეჭირებებით
ჩვენი ქარი
ეამარჯვებული რაბრუნ-
ება ზამთრის
დაწყებაზე!!!




სამავრიანი
დაშროვნა
მოსახლზე!



ან უიძლე-
ვა უაჩით-
ხვა: როლის
ბათავედა
მძი.

ჩვენ ვერ უევაფასათ
ნითაღი ანაბის ძაქაბი!

იენისი და დეკემბერი (კომენტარიები ჰიტლერის სიტყვებსა)



გერმანიის ჯარების უკან დასახვევი გზები მოფენილია წითელი არმიის მიერ გაუღებელი ოკუპანტთა საფლაგებო ქრონოლოგიის და ცემის მონიშნული გზებით. დაცემა მოხდა მოსხანს ხის ჯვრებით.

ნ.ბ. გ. ლომიძისა

- 1. ვაჟკაცს არ გამოადგება სოფლად მშვენიერა თავისა, ხმალი უნდა აჭრევიდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა... ფაშისტებს უნდა ებრძოდეს, მთხველს ამ ქვეყნად ავისა, ხვდებოდეს სიკვდილს პირისპირ, სწამდეს გამირობა თავისა.
- 2. ვინც მზეს ესვრის ზევით ტალახს, მასვე თავზე დაეცემა, ფაშისტები სხვებს უტევენ თვით არგუნა „ბეღამა“ ცემა.
- 3. ვინც ქარს დასთესს ქარიშხალსაც ის მოიმკის თვითვე ჩქარა, ფაშისტების სისხლი ვღვაროთ, ხალხის სისხლი ვინაც ღვარა.
- 4. გაჭირვება მაჩვენებელ და გაქცევას გაჩვენებელ, სად გარბიხარ „ფიურერო“, ხარღობას რომ იჩემებ?
- 5. გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, ფაშისტებისთვის კაცური თვისება დაკარგულია.
- 6. გველსა ხვრელით გამოიყვანს მოუხარი ენა ტკბილი ფაშისტ გველს კი ხვრელშივ მოსპობს ხმალი ბრძოლით გამოცდილი.



— მე დავრწმუნდი, ჰერ დინგსონ, რომ რკინის ჯვრებზე გაცილებით უკეთესი ყოფილა ხის ჯვრები.

— ??

— რკინის ჯვრებს ზევნ ვატარებდით, ეს ხის ჯვრები კი — ჩვენ გვატარებენ.

უზმბარა

ღ ვ ე ქ ე ლ ი

(ზღაპარი ბიუროკრატიების შესახებ)

გამოაცხო დედაბერმა ღვეძელი. არც დიდი, არც პატარა, არც სქელი, არც თხელი. სწორედ ნორმალური ზომის. ძალიან გემრიელი, სოკოიანი. მოიტანა დედაბერმა ღვეძელი კანცელარიაში, რა თქმა უნდა, ახალ გამომცხვარი: — მიირთვიტ, გენაცვალეთ! უმჯობესი იქნება ჩაისთან. მაგრამ შეიძლება ისიც, უჩაით.

კანცელარიაში სიხარულით შესძახეს: — ო, რა კარგი ღვეძელია! რა მშვენიერია! — აბა, მოდი ვსტამოთ. — სთქვა რეგისტრატორმა ივანოვმა. — სწორედ კარგი იქნება, — სთქვა გადამწერმა პეტრიაშვილმა და დანაც ამოიღო.

მაგრამ საქმის მწარმოებელმა გვარად სიღვრეში სთქვა: — არა, მე თქვენი საქციელი როცა იქნება ჭკუიდან შემშლის. ან უფროდ მომიღებს ბოლოს. განა მე თქვენ ნებას მოგცემთ შესტამოთ ღვეძელი კანცელარიის უფროსის თანაშემწის ნებადართვის გარეშე?

და წავიდა კანცელარიის უფროსის თანაშემწისთან: — ამხანაგო უფროსის თანაშემწე, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ: გამოაცხო დედაბერმა ღვეძელი, არც დიდი, არც პატარა, არც სქელი, არც თხელი, სწორედ კარგი ზომის, ძალიან გემრიელი, სოკოიანი. რაც მთავარია, ახალი გამომცხვარია. მოიტანა დასახელებულმა დედაბერმა ხსენებული ღვეძელი ჩვენს კანცელარიაში და გვითხრა მიირთვიტო. აი ამ გარემოების გამო გთხოვთ გვითხრათ როგორი იქნება თქვენი განკარგულება?

— ღვეძელი? — ეკითხება უფროსის თანაშემწე. — დიახ, ღვეძელი. — სოკოიანი? — აი, საქმე სწორედ იმაში გახლავთ, რომ სოკოიანია. — ჰმ... — შეიქმუნა უზბოლი კანცელარიის უფროსის თანაშემწე. — სოკოიანი ღვეძელი თქვენ ამოზოთ და ამასთანვე ახალ გამომცხვარიც, არა! ეს სერიოზული საქმეა და ასეთ პასუხისმგებლობას მე თავისთავზე ვერ ავიღებ. უმჯობესია, წაველ კანცელარიის უფროსს მოგახსენებ, დე მან აიღოს პასუხისმგებლობა.

და წავიდა კანცელარიის უფროსთან: — ასე და ასეა საქმე, ამხანაგო უფროსო, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ: გამოაცხო დედაბერმა ღვეძელი, არც დიდი, არც პატარა, არც სქელი, არც თხელი, ასე ვთქვათ სტანდარტული. ძალიან გემრიელი, სოკოიანი. და რაც მთავარია, მოიტანა ახალი გამომცხვარი. ვინაიდან ხსენებულმა დედაბერმა მოიტანა ხსენებული ღვეძელი კანცელარიაში კონკრეტული წინადადებით, რომ დაესტკაოთ და შეესტამოთ, აი ამიტომ გთხოვთ გვითხრათ როგორი იქნება თქვენი განკარგულება ამ საქმის შესახებ? — ღვეძელი? — ეკითხება კანცელარიის უფროსი.

— დიახ ღვეძელი. — უბასუხებს მისი თანაშემწე. — სოკოიანი? — სწორედ სოკოიანი, ამხანაგო უფროსო.

იფიჭრა, იფიჭრა კანცელარიის უფროსმა და შემდეგ სთქვა: — იცით რა? უკეთესია წარმომადგენელ წერილობით განცხადება. ამასთანვე ყველაფერი დაწერილებით აღნიშნეთ. მე იმას წარვუდგენ გამოგებას. დე იმათ დაალონ რეზოლუცია. მაშინ ჩემთვისაც და თქვენთვისაც ადვილი იქნება გადაწყვეტილების მიღება. გამხარია ძველი ღვეძელი რომ ყოფილიყო მაშინ კიდევ ჰო; მაგრამ ღვეძელი, როგორც შენ ამბობ, ახალგამომცხვარი ყოფილა, — არა, უმჯობესია დასწერეთ განცხადებითი ბარათი.

სთქვეს და გააკეთეს. დაჯდნენ: რეგისტრატორი ივანოვი, გადამწერ პეტრიაშვილთან ერთად და საქმის მწარმოებელი სიღვრე, კანცელარიის უფროსის თანაშემწის საერთო ხელმძღვანელობით და ოთხი დღის განმავლობაში სწერდნენ მოხსენებითი ბარათს.

ასე და ასეა, ნება გვიბოძეთ გაცნობოთ: გამოაცხო დედაბერმა ღვეძელი, არც დიდი, არც პატარა და ასე შემდეგ.

დაწერილებით ასწერეს ღვეძელის ფორმა, დახატეს ღვეძელის სქემა ტუშით. შემდეგ მოაწერეს ხელი კანცელარიის უფროსის თანაშემწემ და კანცელარიის უფროსმა და წარუდგინეს გამოგებას.

გამგეობის თავმჯდომარემ გადახედა მოხსენებითი ბარათს და სთქვა: — რაშია საქმე ამხანაგებო, ხომ არ დამცინით? დედაბერმა ღვეძელი მოგიტანათ?

— მოგეიტანა, მიირთვიტო! — უბასუხა კანცელარიის უფროსმა. — მერე, რაღა გინდათ, სუამეთ, გაამოსთ! მაგრამ კანცელარიის უფროსი და მისი თანაშემწე არ მიდიოდნენ. მაშინ გამგეობის თავმჯდომარე შეეკითხა მათ: — თქვენ ჩემთან კიდევ გაქვთ რაიმე საქმე? — დიახ, აბნ. თავმჯდომარე! — რა?

— არ შეიძლება, ყოველი შემთხვევისათვის, დაალოთ რეზოლუცია მოხსენებითი ბარათს?

აქ კი თავმჯდომარემ ველარ მოითმინა: — დამეკარგეთ აქედან! — უყვირა მათ — შესრულეთ ჩემი ბრძანება!

ისინი წავიდნენ ბრძანების ასასრულებლად. მაგრამ ღვეძელი უკვე ისე გაქვებულყო, რომ აღარაფრად გამოდგებოდა. დანაც ვერ მიეკარა. როგორც იქნა იმოგინეს ნაჯახი, დაპკრეს, მაგრამ ნაჯახი გატყდა და ღვეძელი კი მოქალი დარჩა.

— აი, ჩემი ბედი, ხიფათი არ ამცდება ხოლმე. — სთქვა კანცელარიის უფროსმა, — და განკარგულება ვასცა, დაწერათ მოხსენებითი ბარათი იმის შესახებ, რომ: — გამოაცხო დედაბერმა ღვეძელი, არც დიდი, არც პატარა და რომ ის იყო პირველად ახალი და რბილი, მაგრამ შემდეგ ქვესავით გამაგრდა და ამიტომ როცა ვსტკრით ნაჯახი ვაგვიტყდა, ეხლა გთხოვთ თქვენს განკარგულებას რომელ გრაფში ვგატაროთ ერთი (1) გატეხილი ნაჯახი. თუუ... და ამით მთავრდება მთელი ზღაპარი.

ლ. ლაზინი

*) ამ ფელეტონის ავტორი მწერალი ლ. ლაზინი, არის ეურნალ „კროკოდილის“ ერთერთი ხელმძღვანელთაგანი, აშუამდ შავი ზღვის ფლოტის ბათალიონის კომისარი. ეს ფელეტონი დაწერილია სპეციალურად „ნიანგისათვის“.

მოლაყბა-უაჟიზის მსახური



ნახ. ს. ნადარეიშვილისა



ხმანფარულ ზარად ქცეულს,
რაც სმენია, რაც უნახავს, —
დგას და მტრების სასარგებლოდ